ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1160501

ნომერი: AR1195066

თარიღი : 05.02.2014

გაცემის თარიღი : 11.03.2014

გაცნობის თარიღი : 30.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ძოწენიძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დონარა დოლიძე პ/ნ 01010013456
- თბილისი გ.ძოწენიძის ქ. N 6 ბ. 10

ორგანიზაცია:

- შხარა 91 კოდი: 204958554

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისადაქალაქმშენებლობისმთავარისამმართველოს02.12.1991 w. #ორგ-2130 საამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს მიერ 02.12.1991 ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ I კვ.-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის დამუშავების მიზნით გაიცა ორგ-2130 სამშენებლო

პასპორტი.
სამსახურს 05.02.2014 წ. #AR1195066 განცხადებით მომართა მოქ. დონარა დოლიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ I კვ.-ს მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და ზემოაღნიშნულ სამშენებლო პასპორტში შესაბამისი ცვლილების შეტანა, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის დამატება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ I კვ.-ს მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სამშენებლო პასპორტი გაცემული იქნა მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობის დადგენაც ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის პრეფექტურის 1991 წლის 23 ოქტომბრის #1110 განკარგულების თანახმად, უნდა მომხდარიყო გენგეგმის შედგენის შემდეგ.
ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ I კვ.-ს მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 2001 წლის 25 აპრილის #117 ბრძანებით დამტკიცდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და ქ. თბილისის სახელმწიფო არქიტექტურულ სამშენებლო კონტროლის ინსპექციის მიერ 2002 წლის 27 დეკემბერს გაიცა #402 მშენებლობის ნებართვა, რომლის საფუძველზედაც საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები. უფრო მოგვიანებით საპროექტრო მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით დაირეგისტრირა ი.ბ.ა “შხარა-91”-მა, რომლის ფართობიც შედგენდა 3590 კვ.მ.-ს, საკადასტრო კოდით: 01.14.02.013.002.
სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული დუკუმენტაციით ირკვევა, რომ შეცვლილია ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ I კვ.-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #01.14.02.013.002; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 12.02.2014 წ; განაცხადის რეგისტრაციის #882014044268), რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების შეტანას ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულ სამშენებლო პასპორტში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად ინიდვიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებისა და დამატების შეტანის უფლებამოსილება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ხოლო, ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების თანახმად ამ აქტით გათვალიწსინებული უფლებამოსილება შეიძლება გავრცელდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ატქების მიმართაც, რომლის სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს 02.12.1991 w. #ორგ-2130 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ: სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 3590 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.14.02.013.002;
2. ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს 02.12.1991 w. #ორგ-2130 სამშენებლო პასპორტს დაემატოს სამშენებლო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა (საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #01.14.02.013.002; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 12.02.2014 წ; განაცხადის რეგისტრაციის #882014044268);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი სამმართველოს 02.12.1991 w. #ორგ-

2130 სამშენებლო პასპორტთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.